


დაბოუკიდებელი ცხოვრების უფლება

მარტივად წასაკითხი ფორმატი



დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება
მარტივად წასაკითხი ფორმატი

2020 წელი

დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაციების - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ და „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ - და ექსპერტების - ლია ტაბატაძისა და ოლღა კალინას - მიერ.

დოკუმენტი მომზადდა პროექტის - „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ - ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ და მას ახორციელებენ ორგანიზაციები - „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“ (GIP – Tbilisi).

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) შეხედულებებს.

რედაქტორი: ნინო ბეჭიშვილი

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ილუსტრაციები და გარეკანი: თათია ნადარეიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

შესავალი



ამ ბროშურიდან უფრო მეტს გაიგებთ შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებაზე.



დიდი ხნის განმავლობაში ადამიანები ფიქრობდნენ, რომ შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება. ქვეყნები აშენებდნენ სპეციალურ ადგილებს, სადაც ისინი ცალკე, ოჯახებისგან შორს ცხოვრობდნენ. ბევრი შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჯერ კიდევ ასე ცხოვრობს.

რას გვეუბნება კანონი



ყველა შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება, მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინაა და სად ცხოვრობს იგი. ეს უფლება მოცემულია შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების **კონვენციაში**.

კონვენცია ქვეყნების შეთანხმებაა და იცავს შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს.


მე-19 მუხლი



კონვენციის მე-19 მუხლი დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებაზე გვესაუბრება და ჩვენს ქვეყანას მის დაცვას ავალდებულებს.

საქართველოს კანონში წერია, რომ ჩვენი ქვეყანა ვალდებულია, მხარი დაუჭიროს შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელ ცხოვრებას.

რა არის დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებაში ჩართულობა?



დამოუკიდებელი ცხოვრება

ნიშნავს შესაძლებლობას, თავად მიიღო ყველა გადაწყვეტილება საკუთარი თავის შესახებ.


მაგალითად, შენ გაქვს უფლება, გადაწყვიტო, სად და ვისთან ერთად იცხოვრო.



საზოგადოებაში ჩართულობა

ნიშნავს, ცხოვრობდე სხვა ადამიანების გვერდით, ერთობოდე და ატარებდე დროს სხვებთან ერთად.

შენ გაქვს უფლება, გქონდეს:



▶ ყოველდღიური საქმე;



▶ საცხოვრებელი ადგილი, საკვები და ტანსაცმელი;



▶ სამედიცინო მომსახურება;




▶ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა;



▶ გასაგები ინფორმაცია და მისაწვდომი ტრანსპორტი;



▶ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რწმენის გამოხატვის საშუალება;




დამოუკიდებლად ცხოვრება არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ თავად იზრუნო საკუთარ თავზე, არამედ იმას, რომ გააკეთო არჩევანი და გქონდეს ამ არჩევანში მხარდაჭერა.



თუ არ შეგიძლია იარო საყიდლებზე, ისარგებლო ბიბლიოთეკით, გაიცნო ახალი ადამიანები, გამოდის, რომ შენ ისევ გარიყული ხარ საზოგადოებისგან.

რა უნდა გაკეთდეს შენი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის?

იმისთვის, რომ დამოუკიდებლად იცხოვრო და შეძლო საზოგადოებაში ყოფნა, სახელმწიფომ უნდა მოგაწოდოს ყველა მომსახურება და დამხმარე საშუალება, რაც გჭირდება.






- ▶ აღარ ააშენოს ისეთი შენობები, რომელიც ხელს შეგიშლის გადაადგილებაში და რომლის გამოც მოგიწევს ცხოვრება მეგობრებისგან მოშორებით;




- ▶ ტრანსპორტი მოარგოს შენს საჭიროებას;



- ▶ მოგანოდოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო ინფორმაცია;




▶ მოგცეს საცხოვრებელი სახლი;



▶ მოგცეს არჩევნებში
მონაწილეობის საშუალება;



▶ უზრუნველყოს სამედიცინო
მომსახურება;




▶ უზრუნველყოს შენი დასაქმება;



▶ დარწმუნდეს, რომ შეგიძლია ისარგებლო ყველა უფლებით და თუ ასე არაა, მოგცეს საშუალება, თავისუფლად მიმართო სასამართლოს;




▶ ყოველთვის გკითხოს, რა გიშლის ხელს დამოუკიდებელ ცხოვრებაში და რა უნდა გააკეთოს, რომ გაგიუმჯობესოს ცხოვრება.



სახელმწიფომ უნდა შექმნას ის მომსახურებები, რაც გჭირდება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. მათ შორისაა – **პერსონალური ასისტენტის** და **მხარდამჭერის** კარგი მომსახურება, შენობების შენზე მორგება, ყველა ინფორმაციაზე წვდომა.

ქვეყანას უნდა ჰქონდეს გეგმა, როგორ და რამდენ ხანში შექმნის ამ მომსახურებებს.



პერსონალური ასისტენტი არის ის ადამიანი, რომელიც დაგეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომელსაც თავად აირჩევ.

მხარდამჭერი არის ის ადამიანი, რომელიც დაგეხმარება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

შეგიძლია გაუზიარო ასისტენტს და მხარდამჭერს შენი საჭიროება და თავად დაგეგმო შენი დახმარების გზები.




ზოგჯერ მომსახურება, რომელიც შენი მხარდაჭერისთვის შეიქმნა, ამბობს, რომ მან უნდა გადანიშნოს, თუ რა გჭირდება.

იცოდე, ასეთი დამოუკიდებულება არასწორია და შენი უფლების დარღვევაა.

როდის ირღვევა შენი დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება?

ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება კანონით გენიჭება. მაგრამ შენი უფლება ირღვევა, როცა:



- ▶ საკუთარი ცხოვრების შესახებ თავად ვერ იღებ გადანწყვეტილებას;




- ▶ იძულებული ხარ, იცხოვრო იქ, სადაც არ გინდა;



- ▶ იძულებული ხარ, იმკურნალო შენი ნების საწინააღმდეგოდ;



- ▶ არ გაქვს უფლება, დახარჯო
შენი ფული;



- ▶ ვერ იყენებ საზოგადოებრივ
ტრანსპორტს;




- ▶ ვერ იღებ განათლებას;



- ▶ ვერ ირჩევ საცხოვრებელ ადგილს;



- ▶ ვერ სარგებლობ თეატრებითა და სხვა საზოგადოებრივი შენობებით;



- ▶ არ გაქვს საკმარისი ან სწორი მხარდაჭერა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

დაიცავით თქვენი უფლებები!



თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები ირღვევა, დაურეკეთ:

- ▶ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ცხელი ხაზი: 1505

- ▶ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს

ტელ: 2 39 53 11

- ▶ სახალხო დამცველს

ცხელი ხაზი: 1481

- ▶ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს

ტელ: 2 33 37 06

- ▶ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

ტელ: 2 33 13 56

- ▶ ფსიქიატრიის სერვისმომხმარებელთა და გადარჩენილთა საქართველოს ქსელს

ტელ: 558 72 36 76